მარიამ პაპასქირი I თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
mapapa21@freeuni.edu.ge I t.karosanidze@freeuni.edu.ge

რუსეთის მიერ ფსევდოანტიტერორისტული ნარატივების გამოყენება აგრესიული იმპერიული პოლიტიკის გასატარებლად – ჩეჩნეთის საკითხი

რეზიუმე

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმები და შემდგომ დაწყებული გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გარდამტეხი მომენტი იყო, რომელმაც სრულიად შეცვალა მსოფლიო რუკის პოლიტიკური ტრაექტორია. ამ თემაზე შექმნილ ნაშრომთა უმეტესობა ძირითად აქცენტს აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით დაწყებულ სამხედრო კამპანიებზე და მათ შედეგებსა თუ გავლენაზე თანამედროვე სამყაროში. თუმცაღა, საკითხის აქტუალობა სცდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, სწორედ ამიტომ, საინტერესოა, განვიხილოთ პოლიტიკური სურათის სხვა მნიშვნელოვანი აქტორები და მათი ქმედებები, ამ შემთხვევაში კი - რუსეთი.

მოცემული ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ მოახდინა რუსეთმა ამ ტერაქტების შემდგომ ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებული გლობალური ომის ექსპლუატაცია საკუთარი იმპერიალისტური მიზნების მისაღწევად. თემის კომპლექსურობის გათვალისწინებით, კვლევა ფოკუსირდება კონკრეტულად ჩეჩნეთის საკითხზე და მიმოიხილავს რუსეთის მხრიდან ფსევდოანტიტერორისტული ნარატივების გამოყენების მრავალმხრივ გზებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს კრემლის აგრესიული პროპაგანდის გავრცელებას. ამ მიზნით, ჩეჩნეთის მაგალითზე, ნაშრომი შეისწავლის, თუ როგორ წარმოაჩინა რუსეთმა თავი ტერორიზმის მსხვერპლად, რათა გაემართლებინა საკუთარი ექსპანსიონისტური, ძალადობრივი ქმედებები და მოეპოვებინა საერთაშორისო მხარდაჭერა.

საკვანძო სიტყვები: ფსევდოანტიტერორიზმი, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები, იმპერიული პოლიტიკა, რუსეთი, ჩეჩნეთი.

შესავალი

11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა წამოიწყო სრულიად ახალი ნარატივი, რომლის მიზანიც ჩეჩენ მეამბოხეებთან დაპირისპირების ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის განუყოფელ ნაწილად წარმოჩენა იყო. მისი თქმით, რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და მუდმივად მოუწოდებდა საერთაშორისო საზოგადოებას, გაერთიანებულიყვნენ ამ ძალისხმევაში (East Asian Strategic Review 2007). ამ ნარატივით რუსეთი ცდილობდა, თავი „ცივილიზებული კაცობრიობის“ დამცველად წარმოეჩინა, რომელიც მკაფიოდ უპირისპირდებოდა „ტერორისტულ ბარბაროსობას“ (O'Loughlin, Tuathail, & Kolossov 2004).

მსგავსი სტრატეგიის ძირითადი ელემენტი იყო რუსეთის ტერორიზმის მსხვერპლად წარმოჩენა, რათა გაღვივებულიყო საერთაშორისო თანაგრძნობა და მხარდაჭერა მისი შიდა ანტიტერორისტული

ოპერაციების მიმართ. ამას მოწმობს თავად პუტინის განცხადება: „რუსეთმა პირადად იცის, რა არის ტერორი. ამიტომ, ჩვენ ყველაზე უკეთ გვესმის ამერიკელი ხალხის გრძნობები. რუსეთის სახელით ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისადმი მიმართვისას მინდა ვთქვა, რომ ჩვენ თქვენთან ვართ, სრულად ვიზიარებთ და ვგრძნობთ თქვენს ტკივილს. ჩვენ მხარს გიჭერთ“[1] (Putin 2001). ამ განცხადების მთავარი მიზანი ამერიკის გასაჭირის გაფართოება და რუსეთის მხრიდან მისი საკუთარ თავზე მორგება, საერთაშორისო საზოგადოებისთვის თავის შეცოდება და სოციუმში „საერთო მსხვერპლის“ განცდის გაღვივება იყო. ეს იყო წინასწარ გათვლილი, კარგად დაგეგმილი ნარატივის ნაწილი, რომლის გამოყენების საშუალებით რუსეთი მარტივად შეძლებდა საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციას ჩეჩნეთში.

კრემლი აქტიურად იყენებდა ამ ნარატივს შიდა ძალაუფლების გასამყარებლად და საზოგადოებრივი აღქმის ფორმირებისთვის - შიდა სამხედრო მოქმედებები წარმოდგენილი იყო, როგორც ლეგიტიმური რეაგირება რუსეთის მთლიანობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ გარე საფრთხეებზე. ამ ყველაფერში გადამწყვეტ როლს თამაშობდა რუსული ხელისუფლების მიერ კონტროლირებული მედია. ის აქტიურად აღვივებდა ნარატივს, რომელიც მიზნად ისახავდა ოპოზიციის ფიგურებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დემონიზებას და მათ წარმოჩენას აგენტებად, რომლებიც ცდილობენ ერის დესტაბილიზაციას. დროთა განმავლობაში, ამ პროპაგანდამ ხელი შეუწყო საზოგადოებაში იმ აღქმის ჩამოყალიბებას, რომ სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა აუცილებელი კომპრომისია ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად (Abraham 2001).

ჩეჩნეთის კონფლიქტის გლობალური ბრძოლის ნაწილად აღიარება მეტად გააზრებული პოლიტიკური მანევრი იყო. 11 სექტემბრის შემდგომმა პუტინის რიტორიკამ სტრატეგიულად გააფართოვა რუსეთის შიდა ბრძოლა - მისი მიზანი იყო, შეექმნა ე.წ. „გლობალური ჩეჩნეთი“ (O'Loughlin, Tuathail, & Kolossov 2004), რითაც ჩეჩნეთის კონფლიქტს შიდა, რეგიონალური სეპარატისტული კონფლიქტიდან აქცევდა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომპონენტად. სწორედ ამიტომ, რუსეთი აქტიურად ცდილობდა ჩეჩენი მეამბოხეების ასოცირებას ალ-კაიდასთან, ვინაიდან ამით რუსეთი თავიდან აიცილებდა კრიტიკას ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების შეზღუდვის მიმართ და მიიღებდა საერთაშორისო ლეგიტიმაციას, რომლითაც შეძლებდა თავისი ქმედებების გამართლებას.

ამ ნარატივმა გაართულა შიდა ოპოზიციისათვის თუ გარე კრიტიკოსებისათვის რუსეთის მთავრობის ქმედებების გაკრიტიკება ისე, რომ არ გამოჩენილიყვნენ ტერორიზმის მხარდამჭერები. შედეგად, რუსეთის მთავრობამ მოახერხა კონტროლის გაზრდა შიდა დაპირისპირებაზე და პროპაგანდისტული რიტორიკის გავრცელება, რაც საზოგადოებრივი დისკურსის ძირეულ ცვლილებას ემსახურებოდა.

ჩეჩნეთის საკითხი, როგორც იმპერიული პოლიტიკის იარაღი

ჩეჩნეთის რესპუბლიკას გადატანილი აქვს რუსეთის იმპერიული ბატონობის წინააღმდეგ დაპირისპირების ხანგრძლივი და მღელვარე ისტორია, რომელიც ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში დაიწყო (Seminara 2021). ეს ღრმა მტრობა კიდევ უფრო გაამწვავა ისეთმა ისტორიულმა ტრავმებმა, როგორიცაა ჩეჩენი მოსახლეობის მასობრივი დეპორტაცია ცენტრალურ აზიასა და ციმბირში XX ს.-ის 40-იან წლებში სტალინის მმართველობის დროს (Forteith 2022). რუსეთისგან დამოუკიდებლობის მუდმივი სურვილი ჩეჩენი მებრძოლებისათვის მთელი ისტორიის განმავლობაში მოტივაციის დაუშრეტელი წყარო იყო. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ ჩეჩნეთს დამოუკიდებლობის გამოცხადებისკენ უბიძგა, რუსეთი კი ამის აღიარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ამ დაპირისპირებამ გამოიწვია

1 «Россия не понаслышке знает, что такое террор. И поэтому мы лучше всего понимаем чувства американского народа, и, обращаясь от имени России к народу Соединенных Штатов, хочу сказать, что мы с вами, мы целиком и полностью разделяем и чувствуем вашу боль. Мы поддерживаем вас».

ჩეჩნეთის პირველი ომი (1994-1996), რომელმაც რუსეთს დამამცირებელი დამარცხება მოუტანა და ჩეჩნეთის დე ფაქტო ავტონომიის პერიოდით დასრულდა. ჩეჩნეთის მეორე ომი 1999 წლის 7 აგვისტოს დაიწყო, შამილ ბასაევისა და იბნ ალ-ხატაბის მეთაურობით ისლამისტი ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფის დაღესტანში შეჭრის შემდეგ. მათი დაღესტანში შეჭრის მთავარი მიზანი ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო (Drolet-Duguay 2023). ამას მოჰყვა 1999 წლის სექტემბერში რუსეთის ქალაქებში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების სერია (Nogee 2023). მიუხედავად იმისა, რომ ამ აფეთქებებზე პასუხისმგებლობა არცერთ ჩეჩენ საველე მეთაურს არ აუღია, რუსეთის ხელისუფლებამ სწრაფად დაადანაშაულა ჩეჩენი სეპარატისტები. ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა რეაგირებამ ამ ქმედებების მიმართ.

2001 წლის 11 სექტემბრამდე, ჩეჩნეთის კონფლიქტის საერთაშორისო აღქმა ძირითადად რუსეთის ქმედებების მკაცრი დაგმობისკენ იყო მიმართული. გაერო და დასავლეთის ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ადამიანის უფლებების ფართოდ გავრცელებულ დარღვევებსა და ომის ჰუმანიტარულ შედეგებზე. კრიტიკა ძირითადად რუსული ძალების მიერ ძალის არაპროპორციულ გამოყენებაზე იყო ორიენტირებული. მათ შორისაა: ქალაქებისა და სოფლების მასიური დაბომბვა, მკვლელობები, წამება და არაადამიანური მოპყრობა, თვითნებური დაკავებები და ა.შ. ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა Human Rights Watch და Amnesty International, სიღრმისეულად აღწერეს ეს ძალადობრივი ქმედებები და წარმოადგინეს დეტალური ანგარიში მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ გადატანილი ტანჯვის შესახებ (Amnesty International 2000). საერთაშორისო საზოგადოება მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებდა რუსეთს და ხელს უშლიდა მის მცდელობას, სამხედრო კამპანია ლეგიტიმურად წარმოეჩინა.

კონფლიქტი ძირითადად აღიქმებოდა, როგორც სეპარატისტული ბრძოლა, რომელსაც თან ახლდა საერთაშორისო მოწოდებები პოლიტიკური გადაწყვეტისა და მხარეებს შორის ნამდვილი მოლაპარაკებების დაწყებისკენ. მაგალითად, გაეროს კომისიამ ადამიანის უფლებათა საკითხებში (UNCHR - United Nations Commission on Human Rights) 2000-2001 წლებში მიიღო რეზოლუციები (UN Commission on Human Rights 2000), რომლებშიც მკაფიოდ დაგმო ადამიანის უფლებების დარღვევები და მოუწოდა რუსეთს, შეექმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისია. ამის მაგალითია 2000 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, მერი რობინსონის განცხადებაც (Robinson 2000), რომელიც რუსეთის კრიტიკას მიემართებოდა: „ჩეჩნეთში მომხდარი სისასტიკის შესახებ რუსული გამოძიებები უბრალოდ არ არის სანდო. გაერომ აქ ინიციატივა თავად უნდა აიღოს - და არა მოსკოვს დაუბრუნოს.“[2]

დასავლელმა ლიდერებმა, მათ შორის აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, გააფრთხილეს რუსეთი, რომ მის ქმედებებს მძიმე შედეგები მოჰყვებოდა და მას საერთაშორისო იზოლაცია ელოდა (U.S. Senate 2000). გარდა ამისა, რუსეთს ევროკავშირმაც მოუწოდა ძალის არაპროპორციული გამოყენების შეწყვეტისკენ (Guardian 2000). მეტიც, გავრცელდა ვარაუდებიც ეკონომიკური სანქციების დაწესების შესაძლებლობაზე (Politico 2000). შესაბამისად, 11 სექტემბრის ტერაქტამდე დასავლელი დამკვირვებლების უმეტესობა სკეპტიკურად და ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის მტკიცებას, რომ ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობა ალ-კაიდას უკავშირდებოდა.

თუმცაღა, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ საერთაშორისო მიდგომების ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა გარე ზეწოლა - კრემლის მთავარი ინტერესი კი სწორედ ამ შესაძლებლობის გამოყენება იყო. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა სწრაფად გამოიყენა შესაძლებლობა, დაეკავშირებინა ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტი გლობალურად მზარდ ტერორიზმთან ბრძოლასთან (Gilligan 2010). მან განაცხადა, რომ რუსეთი დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა საერთაშორისო ტერორიზმს. ამ ნარატივის მიზანი

2 “Russian investigations into atrocities in Chechnya have simply not been credible. The United Nations must seize the initiative here - not hand it back to Moscow.” - Mary Robinson

იყო ჩეჩენ მებრძოლთა პირდაპირი გაიგივება ალ-კაიდასა და სხვა საერთაშორისო ტერორისტულ ქსელებთან, რითაც რუსეთის სამხედრო ოპერაციები ლეგიტიმურად უნდა წარმოჩენილიყო. კრემლი მუდმივად აცხადებდა, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე „ანტიტერორისტული ოპერაცია“ აუცილებელი ნაბიჯი იყო წესრიგის აღსადგენად (Felshtinsky & Litvinenko 2004) და ტერორისტული ჯგუფების გასანადგურებლად, რომლებსაც რეგიონში თავშესაფარი ჰქონდათ (Abraham 2001).

ჩეჩნეთის კონფლიქტისა და გლობალური ანტიტერორისტული ბრძოლის ერთმანეთთან გათანაბრება იყო მიზანმიმართული, ფრთხილად დაგეგმილი სტრატეგია. პუტინის განცხადებები 11 სექტემბრის შემდეგ მკაფიოდ აკავშირებდა ამ ორ საკითხს - მისი მთავარი მიზანი ჩეჩნეთის კონფლიქტის სეპარატისტულ პრობლემაზე უფრო დიდ, გლობალურ ბრძოლის ნაწილად წარმოჩენა იყო. ჩეჩენი მეამბოხეების ალ-კაიდასთან გაიგივების გზით რუსეთმა შეძლო მისი მხრიდან ადამიანის უფლებების რიგი დარღვევების გამართლება. შესაბამისად, რუსეთმა სტრატეგიულად გამოიყენა საერთაშორისო ანტიტერორისტული განწყობა, რათა თავი წარმოეჩინა ტერორიზმის მსხვერპლად და საერთაშორისო თანამეგობრობის მნიშვნელოვან მოკავშირედ ტერორიზმთან ბრძოლაში. ამ პოზიციონირებამ მნიშვნელოვნად შეამცირა რუსეთის მიმართ კრიტიკა ჩეჩნეთში ჩადენილი ქმედებების გამო, მოუპოვა მას საერთაშორისო მხარდაჭერა და მისცა საშუალება, თავი წარმოეჩინა არა აგრესორად, არამედ გლობალური უსაფრთხოების დაცვაში მონაწილე პასუხისმგებელ ძალად.

2000-იანი წლების შუა პერიოდში რუსეთმა დაიწყო პოლიტიკა, რომელსაც „ჩეჩენიზაცია“ ეწოდა (Russel 2005). ეს იყო სტრატეგია, რომლის მიზანი იყო ყოველდღიური სამართალდაცვითი და ანტიტერორისტული პასუხისმგებლობის გადაცემა პრორუსულ ჩეჩენ ძალებზე (Hedenskog 2020). ეს ოფიციალურ პოლიტიკად იქნა მას შემდეგ, რაც 2004 წლის 9 მაისს მოკლეს ჩეჩნეთის ხელმძღვანელი - ახმატ კადიროვი, რომლის ადგილზეც დაინიშნა მისი ვაჟი რამზან კადიროვი. სწორედ მის დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთები, ე.წ. „კადიროვცები“ გახდა რეჟიმის მთავარი დასაყრდენი (Mustaffa 2022). ამით მოსკოვმა შეძლო, ერთი მხრივ, ფედერალური ჯარების ეტაპობრივად გამოყვანა, ხოლო, მეორე მხრივ, ეფექტური კონტროლის შენარჩუნება რეგიონზე. კადიროვის რეჟიმის მიმართ ნებისმიერი წინააღმდეგობა შემდგომში „ტერორისტულ“ საფრთხედ მოინათლა, რაც პროტესტის ჩახშობის მუდმივ საბაბს ქმნიდა. ამ სტრატეგიის მიზანი იყო ჩეჩნეთის ინტეგრაცია რუსული ნაციონალისტური ნარატივის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ რუსეთმა სწრაფად შექმნა სპეციალური იურიდიული და პოლიტიკური ჩარჩო ანტიტერორისტული ღონისძიებებისათვის, რათა ფეხი აეწყო საერთაშორისო ტენდენციისათვის. ახალი კანონები, განსაკუთრებით 2002 წლის „ექსტრემისტული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონი (SOVA Center for Information and Analysis 2010) და 2006 წლის კანონი „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ გამოირჩეოდა ბუნდოვანი და ფართო ფორმულირებებით, რაც უკავშირდებოდა „ტერორიზმის“ და „ექსტრემიზმის“ განსაზღვრას. ეს ბუნდოვანება არა შემთხვევითი ხარვეზი, არამედ შეგნებული მექანიზმი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო ძალების გამოყენების ლეგალიზებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ანტიტერორისტული მიზნებისათვის (International Humanitarian Law Databases 2006). ამით კრემლს ეძლეოდა ფართო ძალაუფლება, რაც ნიშნავდა იმას, რომ კრიმინალიზებული იქნებოდა მშვიდობიანი პროტესტიც და მთავრობის უბრალო კრიტიკაც, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მოტივით.

ამ კანონებმა მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს. ახალი კანონმდებლობა გამოიყენეს სამოქალაქო სივრცის ჩასახშობად, პოლიტიკური ოპოზიციის დასათრგუნად და უმცირესობების მარგინალიზაციისთვის. კანონებში აღინიშნებოდა უფლებების ძირეული შეზღუდვა, მათ შორის სიტყვის, რელიგიის, შეკრებისა და გადაადგილების თავისუფლების. Amnesty International-ის ცნობით, საგრძნობლად გაიზარდა ამ კანონების ბოროტად გამოყენება დისიდენტების დასასჯელად (Amnesty International 2024). პირებს ყოველგვარი სასამართლო განხილვის გარეშე ედებოდათ ბრალი „ტერორიზმის მხარდაჭერაში“ - განსხვავებული აზრის მქონე ინდივიდებს

ყოველგვარი საფუძვლისა თუ მიზეზის გარეშე მოიხსენიებდნენ „ტერორისტებად“ ან „ექსტრემისტებად“, რის შემდეგაც მათ ეყინებოდათ საბანკო ანგარიშები და სრულად ეზღუდებოდათ საარსებო სახსრების მოძიების შესაძლებლობა (Geneva Academy 2024).

საგულისხმოა, რომ კონტროლი გაძლიერდა მედიაზეც. 2006 წლის ანტიტერორისტული კანონი კრძალავდა „ტერორისტული იდეების პოპულარიზაციას“ და ჟურნალისტებს სრულიად უკრძალავდა ანტიტერორისტული ოპერაციების გაშუქებას (Bless 2011). მეტიც, შემდგომი ცვლილებები კიდევ უფრო ზღუდავდა მედიის თავისუფლებას - გავრცელდა თვითცენზურა და შესაძლებელი გახდა „არასანდო ინფორმაციის“ ან ხელისუფლების მიმართ „არასწორი დამოკიდებულების“ კრიმინალიზაცია. ამ კანონების საფუძველზე სხვადასხვა ორგანიზაციებს, მათ შორის მედია საშუალებებს, ლიკვიდაციის საფრთხეც ემუქრებოდა (Ingannamorte 2024).

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები აშკარად იყო მიმართული მმართველი რეჟიმის მიზნების გაძლიერებისკენ და ძალაუფლების კონცენტრაციისკენ. მაგალითად, კონკრეტულად 2006 წლის კანონი აფართოებდა ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (ФСБ - Федеральная Служба Безопасности) უფლებამოსილებებს და ძალაუფლებას აქცევდა მისი დირექტორის ხელში, რომელიც ამავდროულად ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის ხელმძღვანელიც გახდა. ამ ცენტრალიზაციამ შესაძლებელი გახადა სამხედრო ძალების გამოყენება ერთპიროვნულად და სახელმწიფო რესურსების, მათ შორის სამხედრო ძალების, მობილიზება კრემლის სასარგებლოდ (Amnesty International 2024). ამდენად, რუსეთში მყარი დაბალანსების მექანიზმების არარსებობამ ფართოდ გაუხსნა გზა კორუფციულ სქემას. ეს კი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გლობალური კრიზისი - მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლა - გამოყენებულ იქნას დემოკრატიული ნორმების შესუსტებისა და ავტორიტარული მმართველობის გასამტკიცებლად.

საკანონმდებლო ცვლილებების გარდა, აღსანიშნავია სხვა სტრატეგიებიც. რუსულმა ძალებმა ჩეჩნეთში ფართოდ გამოიყენეს ე.წ. „ზაჩისტკები“, ანუ გაწმენდითი ოპერაციები და დააარსეს ე.წ. „ფილტრაციის ბანაკები“, როგორც ძირითადი ანტიტერორისტული ტაქტიკა (Wheeler 2011). ეს ოპერაციები გულისხმობდა მთლიანი სოფლების ალყაში მოქცევას, მაცხოვრებლების გადაადგილების სრულად შეზღუდვას და მოსახლეობის მასობრივ დაკავებებს. რუსეთის ხელისუფლება, მათ შორის პრეზიდენტი პუტინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი, მუდმივად ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო ანტიტერორისტული სამხედრო ოპერაციები და არა სრულმასშტაბიანი ომი. მათი თქმით, ეს ოპერაციები აუცილებელი იყო წესრიგის აღსადგენად, „საერთაშორისო ტერორიზმის კერების“3 (Bindig 2000) აღმოსაფხვრელად და სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად.

თუმცაღა, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, როგორებიც არიან Amnesty International და Human Rights Watch, ვრცლად აღწერდნენ, თუ რამდენად რადიკალურად განსხვავდებოდა ოფიციალური განცხადებები ადგილობრივი რეალობისგან. მათი ანგარიშები ასახავდა უფლებების სისტემურ და მასშტაბურ დარღვევებს ამ ოპერაციებსა და ბანაკებში. დეტალურად იყო აღწერილი ადამიანთა წამება და დამამცირებელი მოპყრობა, მათ შორის მოსახლეობის ხანგრძლივი ცემა სხვადასხვა საგნებით, სხეულის დაწვა ცეცხლით ან გახურებული მეტალით, ელექტროშოკის გამოყენება, ფსიქოლოგიური ძალადობა, სიკვდილით დასჯის იმიტაციები, მუქარები ოჯახის წევრების მიმართ და ა.შ. (Human Rights Watch 2006). გარდა ამისა, გავრცელებული იყო თვითნებური დაპატიმრებები, ხშირად ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არალეგალურ და საიდუმლო დაწესებულებებში. მეტიც, დაკავებულთა შორის მყოფი ათასობით ადამიანი, რომლებიც ამ ე.წ. „ფილტრაციის“ პროცესს დაექვემდებარნენ, უბრალოდ გაუჩინარდნენ გარკვეული დროის შემდეგ. ზოგიერთი მათგანის ცხედრები კი მოგვიანებით აღმოაჩინეს მასობრივ საფლავებში, სხეულზე წამებისა და სასტიკი მოპყრობის კვალით (Amnesty International Publications 2007).

3 “Hotbed of International terrorism”

ძალადობის ასეთი სისტემური ხასიათი და დაუსჯელობის ფაქტები ცხადყოფს, რომ რუსეთის სამხედრო ჩარევა შეუძლებელია მივიჩნიოთ ანტიტერორისტულ ოპერაციად. როგორც დავინახეთ, დამნაშავეები უმეტესად არ ისჯებოდნენ, ხოლო გამოძიებები იყო ან არასრულფასოვანი, ან საერთოდ არ ტარდებოდა. ეს აშკარა წინააღმდეგობა ოფიციალურ განმარტებებსა და რეალურ ფაქტებს შორის მიუთითებს, რომ ანტიტერორისტული ნარატივი რეალურად მხოლოდ ყალბი საფარველი იყო ფართომასშტაბიანი ადამიანის უფლებების დარღვევისა და სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ძალადობის დასაფარად. ამდენად, რუსეთის მიერ ამ ქმედებების ანტიტერორისტულ საჭიროებად წარმოდგენამ მას საშუალება მისცა, გლობალური ანტიტერორისტული განწყობა გამოეყენებინა საერთაშორისო პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად. რიგი დანაშაულების პასუხად სასჯელის არარსებობამ კი კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება, რომ ეს ყოველივე იყო არა ლეგიტიმური ანტიტერორისტული ღონისძიებების ერთობლიობა, არამედ სახელმწიფო რეპრესიებისა და კონტროლის იარაღი.

აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ, ჩეჩნეთის კონფლიქტისადმი საერთაშორისო აღქმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რასაც დასავლური ქვეყნების დამოკიდებულებაში მოჰყვა დრამატული ცვლილება რუსეთის ქმედებების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ უფლებადამცველი ორგანიზაციები, როგორებიცაა Human Rights Watch და Amnesty International, განაგრძობდნენ ჩეჩნეთში მიმდინარე დარღვევების დოკუმენტირებასა და კრიტიკას, დასავლური ერები - განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები - გაცილებით ნაკლებად ხმამაღლა გამოხატავდნენ შეშფოთებას რეგიონში ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით (Stent 2021).

საერთაშორისო კრიტიკის შესუსტება რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გლობალური ყურადღება ტერორიზმთან ბრძოლაზე გადაერთო, რაც რუსეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორის სტატუსს ანიჭებდა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების თვალში. აქედან გამომდინარე, რუსეთთან თანამშრომლობის სურვილი - მათ შორის დაზვერვის გაზიარება, რუსულ საჰაერო სივრცეზე წვდომა და ცენტრალური აზიის ბაზების გამოყენების უფლება - შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად ადამიანის უფლებებზე მაღლა დადგა. დასავლური ქვეყნები ასევე ცდილობდნენ, არ შესულიყვნენ პირდაპირ კონფრონტაციაში რუსეთთან მისი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის გამოც, ვინაიდან რუსეთს შეეძლო, ჩეჩნეთის საკითხი გაეროში სერიოზული განხილვისგან დაეცვა (Denber 2004). ამის გარდა, დასავლეთი საკუთარი ანტიტერორისტული კანონმდებლობისა და ოპერაციების შემუშავებით იყო დაკავებული, რაც ხშირად სამოქალაქო თავისუფლებებზე კომპრომისებით სრულდებოდა (Geneva Academy 2024).

დასავლეთის პოზიციის ამგვარმა ცვლილებამ - მკაცრი კრიტიკიდან დუმილამდე - რუსეთისთვის შექმნა კრიტიკული შესაძლებლობა, გაჰყოლოდა თავის იმპერიულ მიზნებს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და ძალაუფლების დემონსტრირების მხრივ. კრემლმა სრულად ისარგებლა საერთაშორისო ზეწოლის შემცირებით. 2002 წლის ბოლოს რუსეთმა ჩეჩნეთში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE - Organization for Security and Cooperation in Europe) ოფისი დახურა და უარი განაცხადა გაეროს სპეციალური მომხსენებლების მიწვევაზე, რომლებსაც წამებისა და დამსჯელობითი ღონისძიებების საკითხები უნდა განეხილათ (Denber 2004). საერთაშორისო საზოგადოების ამ უკანდახევამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმს.

ჩეჩნეთის კონფლიქტის სტრატეგიულმა გადაფასებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის უფრო ფართო გეოპოლიტიკური მიზნების ფორმირებაში. კონფლიქტის შიდა ანტიტერორისტულ ოპერაციად წარმოჩენით, რუსეთმა შეძლო თავისი სამხედრო ჩარევის გამართლება და მნიშვნელოვნად შეამცირა საერთაშორისო ჩარევა. გარდა ამისა, ანტიტერორისტული ნარატივი რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა ეკონომიკურ ჭრილშიც - კერძოდ, ეს მოიცავდა კონტროლის გამტკიცებას ნავთობისა და გაზის რესურსებზე და ჩეჩნეთში გამავალ სტრატეგიულ მილსადენებზე (Drolet-Duguay 2023).

შესაბამისად, კრემლმა ტაქტიკურად ისარგებლა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ შექმნილი საერთაშორისო ანტიტერორისტული ატმოსფეროთი და ვითარება სათავისოდ გამოიყენა ჩეჩნეთის კონფლიქტის ნარატივის შესაცვლელად. ეს პერიოდი ჩამოყალიბდა ერთგვარ შიდა კონტროლის მოდელად რუსეთში - ბუნდოვანი „ეროვნული უსაფრთხოების“ არგუმენტები იქცა ძლიერ იარაღად განსხვავებული აზრის ჩასახშობად, პოლიტიკური ოპოზიციის მარგინალიზაციისა და კრიტიკული ხმების დადუმებისთვის, რამაც ანტიტერორისტული ჩარჩოები ავტორიტარიზმის ინსტრუმენტებად აქცია. ამან საფუძველი ჩაუყარა კრემლის მომავალი ქმედებების სახიფათო პრეცედენტს, ვინაიდან ვლინდებოდა, თუ როგორ შეიძლება „უმცირესობებთან ომი“ სამართლებრივად გამართლდეს ტერორიზმთან ბრძოლის ნიღბით.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა სტრატეგიულად ისარგებლა მოცემული ვითარებით და შეძლო საერთაშორისო დონეზე კრიტიკის ჩახშობაც. დასავლეთის დუმილი ნიშნავდა, რომ რუსეთს ექნებოდა შესაძლებლობა, შეუფერხებლად ემოქმედა თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ამდენად, ჩეჩნეთის საკითხი ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოიყენა რუსეთმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი და მის შემდგომ დაწყებული გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ თავისი იმპერიალისტური ქმედებების გასამართლებლად. ეს მხოლოდ ერთი ნაწილია რუსეთის ქრონიკულად განმეორებადი ფსევდოანტიტერორისტული ნარატივისა, რომელსაც მოსკოვი დღემდე აქტიურად მიმართავს და რომელიც მას აძლევს საშუალებას, ცრუ ნარატივის გავრცელების ხარჯზე გაამართლოს საკუთარი აგრესიული ქმედებები როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე.